სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება № 01-05-04/11

ქ. თბილისი 14 თებერვალი 2018

სტუ-ის საპატიო დიპლომებით დაჯილდოების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტის, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანის, პროფ. ირ. გაბისონიას და სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის, პროფ. დ. გურგენიძის მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათებისა და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 14 თებერვლის №1 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. დაჯილდოვდეს სტუ-ის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი რევაზ რუხაძე სტუ-ის საპატიო დიპლომით და ერთი თვის ხელფასით ფაკულტეტის ბიუჯეტიდან;
2. დაჯილდოვდეს სტუ-ის სამშენებლო ფაკულტეტის პროფესორი გუგა ჭოხონელიძე სტუ-ის საპატიო დიპლომით და ერთი თვის ხელფასით ფაკულტეტის ბიუჯეტიდან;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**